THE CONGRESS COUNCIL OF EUROPE
LE CONGRÈS CONSEIL DE L'EUROPE

საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდა ინოვატორების შერჩევის კონკურსი

თუ ხარ 18-29 წლის, გაინტერესებს დემოკრატია, ადამიანის უფლებები და საკუთარ თემში რეალური ცვლილებების მოხდენა.

თუ გაქვს სურვილი, დაუკავშირდე სხვა ახალგაზრდა თანამოაზრეებს, ისწავლო წამყვანი ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტებისგან, და საკუთარი რეგიონი უკეთესობისკენ შეცვალო.

მაშინ, ეს შენი შანსია!

ევროპის საბჭო ახალგაზრდებს საქართველოს ყველა რეგიონიდან - განსაკუთრებით სასოფლო, მთიანი, შორეული ან უმცირესობებით დასახლებული თემებიდან - საინტერესო შესაძლებლობას სთავაზობს - გაქვს შანსი, გახდე **დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ახალგაზრდული ლაბორატორიის წევრი.**

რას გულისხმობს ინიციატივა?

ინიციატივის ფარგლებში იგეგმება რეგიონული **ახალგაზრდული ლაბორატორიების** შექმნა ადგილობრივი დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერების მიზნით.

- შემოუერთდი **5-დღიან საზაფხულო ბანაკს (4-9 აგვისტო)**, რომლის პროგრამაც ითვალისწინებს ახალგაზრდული გუნდების ფორმირებას, თემატურ და უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ ვორქშოპებს, პრაქტიკულ ინდივიდუალურ და გუნდურ სავარჯიშოებსა და პრეზენტაციების გაკეთების შესაძლებლობებს.

- იმუშავე თანატოლებთან და მენტორებთან ერთად ისეთ ინიციატივებზე, რაც **ახალგაზრდების ხმის გაძლიერებასა** და თემის დონეზე ხელშესახები ცვლილებების მოტანას ემსახურება.

- მიიღე წვდომა ექსპერტულ **მხარდაჭერაზე, ტრენინგებზე, სასწავლო ვიზიტებზე, დაფინანსების შესაძლებლობებსა** და ახალგაზრდული ჰაბის წევრობაზე.

ახალგაზრდული ლაბორატორიები *წარმოადგენს არაფორმალურ, სტრუქტურულ, ცვლილებაზე ორიენტირებულ პლატფორმებს, რომელიც დაფუძნდება საზაფხულო ბანაკში მონაწილე ახალგაზრდა ინოვატორების მიერ. ლაბორატორიები შეასრულებს ახალგაზრდების მიერ დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული ინიციატივების დაგეგმვისა და განხორციელების საკოორდინაციო მექანიზმის ფუნქციას.*

დროთა განმავლობაში, ახალგაზრდული ლაბორატორიები *ხელს შეუწყობენ ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ჰორიზონტალური და ვერტიკალური ქსელის -* ***ახალგაზრდული ჰაბის*** *- განვითარებას. აღნიშნული პლატფორმა მონაწილეობითი მმართველობისა და ადამიანის უფლებების დოკალიზაციის საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას ისახავს მიზნად.*

რა უნდა გააკეთო შენ?

როგორც მონაწილე, შენ:

ჩაერთვები გაცნობით პროგრამაში, გუნდის ფორმირებასა და შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებში.

შეუერთდები წამყვან საერთაშორისო და ადგილობრივ ექსპერტებს ახალგაზრდებისთვის აქტუალურ საკითხებზე შთამაგონებელ საუბრებში.

მონაწილეობას მიიღებ სამოქალაქო ჩართულობის, ადამიანის უფლებების, საპროექტო განაცხადის შემუშავების, ეფექტური პრეზენტაციებისა და სხვა საინტერესო საკითხებზე ინტერაქციულ ვორქშოპებში.

იმუშავებ თანატოლებთან და მენტორებთან ერთად, რათა შეიმუშაო:

- თემთან/საზოგადოებასთან ურთიერთობის რეგიონული სტრატეგია
- ადგილობრივი საჭიროებების კვლევისა და საპროექტო განაცხადის მომზადების გზამკვლევი

წარმოადგენ გუნდის იდეებს, რომლებიც ემსახურება ადგილობრივ დონეზე დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების გაძლიერებას, ასევე, თანატოლებისგან და ექსპერტებისგან მიიღებ უკუკავშირს.

ერთობლივად შეიმუშავებთ **დეკლარაციას, რომლითაც გამოხატავ მზაობას და სურვილს**, დააარსო და გაუძღვე რეგიონულ ახალგაზრდულ ლაბორატორიას.

რა არის შემდეგი ეტაპი?

საზაფხულო ბანაკის ფარგლებში ჩამოყალიბებული ახალგაზრდული გუნდები:

- შექმნიან რეგიონულ ახალგაზრდულ ლაბორატორიებს
- გაფართოების მიზნით, შემოიერთებენ თანატოლებს
- შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მენტორებისგან მიიღებენ გრძელვადიან მხარდაჭერას
- განახორციელებენ ბანაკის ფარგლებში ერთობლივად შემუშავებულ სათემო ინიციატივებს
- ცოდნის გაცვლის მიზნით, რეგულარულად მიიღებენ მონაწილეობას ღონისძიებებში, რომლებიც ორგანიზებული იქნება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე

ვის შეუძლია მონაწილეობა?

- 18-29 წლის ახალგაზრდებს
- განსაკუთრებით სასოფლო, მთიანი, შორეული ან უმცირესობებით დასახლებული თემებიდან
- ვისაც აინტერესებს გუნდური მუშაობა, სამოქალაქო აქტივობა და ადგილობრივ დონეზე ადამიანის უფლებების გაძლიერება
- ვინც მზად არის, ჩაერთოს საზაფხულო ბანაკსა (2025 წლის 4-9 აგვისტო) და შემდგომ აქტივობებში

რატომ უნდა შემოგვიერთდე?

რადგან **შენი ხმა მნიშვნელოვანია**. ეს უფრო მეტია, ვიდრე საზაფხულო ბანაკი - ეს არის შესაძლებლობა, რომ წამოიწყო და განახორციელო საინტერესო ინიციატივები, რომლებიც უფრო ძლიერი, სამართლიანი და ინკლუზიური თემის მშენებლობას შეუწყობს ხელს.

დარეგისტრირდი

შეავსე **სააპლიკაციო ფორმა** **2025 წლის 10 ივლისამდე (23:59 GMT).**
შეჩჩეული კანდიდატები შესაძლოა, მიწვეულნი იყვნენ გასაუბრებაზე.

არ ხარ დარწმუნებული, რომ ეს შესაძლებლობა შენთვისაა? მაშინ დაესწარი და დასვი კითხვები საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართება **2025 წლის 2 ივლისს, (14:00 GMT)** ონლაინ ფორმატში, **Zoom-ში** [Meeting ID: 625 9860 1690; Passcode: 1111]

გაქვთ კონკურსზე ზოგადი კითხვები ან/და სააპლიკაციო ფორმაზე წვდომასთან დაკავშირებით პრობლემებს წააწყდით? მიმართეთ ანა არევაძეს: anna@forset.ge

ინიციატივის შესახებ

ინიციატივას ახორციელებს ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფალთა კონგრესი, **საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმისა** და პროექტის „**მონაწილეობითი და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ადგილობრივი დემოკრატიის განვითარება საქართველოში**“ ფარგლებში, ავსტრიის განვითარების თანამშრომლობის ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტი ადგილობრივ თემს დემოკრატიული ტრანსფორმაციის ცენტრში აყენებს. ის ახალგაზრდებს, სხვა საკითხებთან ერთად, აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბებაში, დაიცვან ადამიანის უფლებები და წაახალისონ პოზიტიური ცვლილებები. პროექტი მხარს უჭერს ახალგაზრდების ჩართულობას დეცენტრალიზაციის რეფორმებში, ახალისებს მათ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, წვლილი შეიტანონ უფრო თანასწორი და მდგრადი თემის მშენებლობაში. დაბოლოს, მათ, როგორც თანაშემქმნელებს, რთავს ინკლუზიური, ანგარიშვალდებული ადგილობრივი დემოკრატიების მშენებლობის პროცესებში.

ინიციატივის თანა-ფასილიტატორია **ForSet**.

THE CONGRESS COUNCIL OF EUROPE
LE CONGRÈS CONSEIL DE L'EUROPE